ქვიარ თემის პოლიტიკური ჩართულობის გამოცდილება 2024-2025 წლების ქართულ საზოგადოებრივ პროტესტში

თორნიკე აბულაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:სოფიკო ზვიადაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2026

განცხადება

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თორნიკე აბულაძე

17/01/2026

აბსტრაქტი

თანამედროვე საქართველო მოქცეულია მწვავე სოციო-პოლიტიკური და იდეოლოგიური კრიზისის ეპიცენტრში, სადაც ქვეყნის გეოპოლიტიკური ვექტორი და დემოკრატიული ინსტიტუტების მდგრადობა სისტემური გამოწვევის წინაშე დგას. 2024–2025 წლების ანტისამთავრობო პროტესტები ამ კონფლიქტის უშუალო გამოხატულებაა და აჩვენებს საზოგადოების მზარდ წინააღმდეგობას ხელისუფლების ავტორიტარული ნორმების ინსტიტუციონალიზაციის მცდელობების მიმართ. ამ დინამიკურ და მაღალი რისკის კონტექსტში, რომელიც ხასიათდება სახელმწიფო რეპრესიის მაღალი დონით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვიარ თემის ჩართულობის სიღრმისეული შესწავლა. ნაშრომის მთავარ მიზანს შეადგენს იმის დადგენა, თუ როგორ იცვლება ქართველი ქვიარ თემის წინააღმდეგობის, თვითაღქმისა და შიდა კომუნიკაციის სტრატეგიები იმ პირობებში, როცა მათი არსებობა და ხილვადობა პირდაპირი საფრთხის ქვეშ დგას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო რეპრესიის მაღალმა დონემ გამოიწვია ქვიარ თემის აქტივიზმის ტაქტიკური ტრანსფორმაცია. პირველ რიგში, თემმა მიმართა ხილვადობის სტრატეგიულ შეჩერებას და თვითცენზურას, რაც წარმოადგენს წინააღმდეგობის ხილვადობის ტაქტიკურ მინიმალიზაციას. ამ ტაქტიკის ფარგლებში, ძირითადი ძალისხმევა მიმართულია ურთიერთზრუნვის ქსელების გაძლიერებასა და თემის ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. მეორე არსებითი მიგნებაა ის, რომ მაღალი რეპრესიის პირობებში, თემის წევრებისთვის საკუთარი არსებობა და იდენტობა გახდა ბრძოლის მთავარი ფორმა. მესამე, მიუხედავად პროტესტში ჩართულობისა, გამოვლინდა იზოლაციის განცდა და საპროტესტო ჯგუფებში მონაწილე პირებისგან არასათანადო სოლიდარობა.

საკვანძო სიტყვები: ქვიარ თემი, პროტესტი, აქტივიზმი, რეპრესია, ხილვადობის პოლიტიკა, თვითგადარჩენა.

Abstract

Contemporary Georgia is positioned at the epicenter of an acute socio-political and ideological confrontation, where the country's geopolitical trajectory and the resilience of its democratic institutions are subjected to systemic pressures. The anti-government protests of 2024–2025 constitute a direct manifestation of this conflict, evidencing society's increasing resistance to the government's efforts to institutionalize authoritarian norms. Within this rapidly shifting and high-risk environment, characterized by an intensified level of state repression, a rigorous examination of queer community engagement becomes critically important. The principal aim of this study is to investigate how the strategies of resistance, self-perception, and intra-community communication among queer Georgians are reshaped under conditions in which their existence and visibility are exposed to imminent threat.

The findings reveal that heightened state repression has precipitated a significant tactical transformation within queer activism. First, the community has adopted a strategy of deliberate invisibility and self-censorship, representing a form of tactical minimization of visible resistance. Within this approach, primary efforts are directed toward strengthening networks of mutual care and ensuring the physical and psychological safety of community members. A second essential finding indicates that, in contexts of severe repression, the assertion of one's existence and identity becomes a central mode of resistance in itself. Third, despite the community's participation in the protests, respondents reported a persistent sense of isolation and inadequate solidarity from other participants within broader protest groups.

Keywords: queer community, protest, activism, repression, politics of visibility, survival.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, სოფიკო ზვიადაძეს, გაწეული დახმარებისა და რჩევებისთვის. ასევე, მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე თითოეულ ქვიარ თემის რესპონდენტეს, თავიანთი თვითაღქმის გულწრფელი გაზიარებისთვის და საპროტესტო აქციებში მონაწილე თითოეულ პირს თუ აქტივისტს.